ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02.09.17/30/071

ქ. თბილისი

08 ივნისი 2020 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) კახა სამხარაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „გეო-გრინი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დფირექტორის ლელა გუდაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, №NAT200007567 ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი“ -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

## 2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 ხელშეკრულების საგანი - რაიონის ტერიტორიაზე გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების (თანმდევი მომსახურება-მონტაჟი და ტრენაჟორებისათვის საჩრდილობელი ფანჩატურისა და მოედნის მოწყობა, 7 (შვიდი) ერთეული) შესყიდვა, რომლის ტექნიკური მახასიათებლები და ფასების ცხრილი მოცემულია დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.2 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე. (CPV კოდი 37440000).

## 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 127631 (ასოცდაშვიდიათასექვსასოცდა თერთმეტი) ლარი და 98 თეთრი;
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

## 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;.
4.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;
4.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.5 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. ამასთან, შესრულებული სამუშაოების (ან მისი ნაწილის) დასრულების თარიღად ჩაითვლება დადასტურებული ფორმა N2-ით (შესრულებული სამუშაოების აქტი) განსაზღვრული სამუშაოს დასრულების თარიღი.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშოების დასრულების შემდგომ, უზრუნველყოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე (მათ შორის ფარულ სამუშაოებზე) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან (აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, ხოლო შემოთავაზებული საქონლზე წარმოშობის/შესაბამისობის სერთიფიკატების წარმოდგენა. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ექსპერტიზის დადებითი დასკვნისა და სერთიფიკატების წარმოდგენის შემთხვევაში.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომელ(ებ)ი.

## 6. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მოწოდება და მონტაჟი უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან – ეტაპობრივად, არაუგვიანეს 2020 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

6.2. საქონლის მოწოდება და მონტაჟი უნდა განხორციელდეს სამგორის რაიონის ტერიტორიის ადმინისტრაციულ საზღვრებში, შემსყიდველის წერილობითი დავალების შესაბამისად. მონტაჟის ადგილის შესახებ ინფორმაცია (მისამართი) მიმწოდებელს ეცნობება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების წარმოებისას დაიცვას უსაფრთხოების ნორმები და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს პერსონალი ერთნაირი სპეც. ტანსაცმლით.

6.4 მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულების დროს ტერიტორიაზე, თავისი ხარჯებით უნდა უნდა განათავსოს ბანერი, სადაც სხვა ინფორმაციასთან ერთად აღნიშნული იქნება: სამუშაოებს დამკვეთია: ქალაქ თბილისის მერია, სამგორის რაიონის გამგეობა.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით.

7.5. სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი პასუხისმგებლობას იღებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში შესყიდვის ობიექტის დაუზიანებლობაზე (გარდა ვანდალიზმის შემთხვევებისა), საგარანტიო ვადის განმავლობაში ბუნებრივი პირობების შედეგად გამოწვეული ან ქარხნული დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის შეკეთება ან ჩანაცვლება ახლით, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ (მათ შორის ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის კონკრეტული ვადების დარღვევა) დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ არ იქნება სამუშაოების წარმოებისას პერსონალის ერთნაირი სპეც. ტანსაცმლით მომარაგება და შესაბამისად დაცული უსაფრთხოების ნორმები მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.5. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის (მათ შორის ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის კონკრეტული ვადების დარღვევა), მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სამგორის რაიონის გამგეობა | შპს „გეო-გრინი" |
| მის. ქ. თბილისი, | მის ქ. თბილისი, |
| მოსკოვის გამზირი №14 | ი. აბაშიძის №89 |
| ხაზინის ერთიანი ანგარიში | სს „საქართველოს" ბანკი |
| | ა/ა GE30BG0000000213632100 |
| კოდი TRESGE22 | კოდი BAGAGE22 |
| საიდენტ. კოდი 206 351 598 | საიდენტ. კოდი 205 018 595 |
| ტელ. 237 31 05; | ტელ. 571 29 30 90; |

| გამგებელი: | დირექტორი: |
|---|---|
| ---------------- კახა სამხარაძე | --------- ლელა გუდაშვილი |

SAMGORI DISTRICT ADMINISTRATION OF TBILISI MUNICIPALITY "206351598"

დანართი№1

(ცხრილი№1

# ფასების ცხრილი

| № | დასახელება | (წარმოშობის ქვეყანა,მწარმოებელი კომპანია, მარკა/მოდელი) | პარამეტრები და ტექნიკური მახასიათებლები | რაოდენობა (ერთეული) | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტრენაჟორი „ნიჩბოსანი" მიწოდება-მონტაჟი (შესაბამისი მასალებისა და სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით) ესკიზის შესაბამისად | რუსეთი/ЗАО "Завод игрового спортивного оборудования", ROMANA ტრენაჟორი „ნიჩბოსანი", SO-3.1.61.00 ) | გაბარიტული ზომები: სიგრძე მმ. 1240 სიგანე, მმ. 790 სიმაღლე, მმ. 1020 მომხმარებლის მაქსიმალური წონა, კგ. 150 | 7 | 900 | 6300 |
| 2 | ტრენაჟორი „სხეულის აწევა" მიწოდება-მონტაჟი (შესაბამისი მასალებისა და სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით) ესკიზის შესაბამისად | რუსეთი/ЗАО "Завод игрового спортивного оборудования", ROMANA ტრენაჟორი „სხეულის აწევა", SO-3.1.62.00 ) | გაბარიტული ზომები: სიგრძე მმ. 1015 სიგანე, მმ. 780 სიმაღლე, მმ. 1805 მომხმარებლის მაქსიმალური წონა, კგ. 150 | 7 | 1400 | 9800 |
| 3 | ტრენაჟორი „აზიდვა მკერდიდან" მიწოდება-მონტაჟი (შესაბამისი მასალებისა და სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით) ესკიზის შესაბამისად | რუსეთი/ЗАО "Завод игрового спортивного оборудования", ROMANA ტრენაჟორი „აზიდვა მკერდიდან", SO-3.1.63.00 ) | გაბარიტული ზომები: სიგრძე მმ. 1080 სიგანე, მმ. 780 სიმაღლე, მმ. 1805 მომხმარებლის მაქსიმალური წონა, კგ. 150 | 7 | 1400 | 9800 |
| 4 | ტრენაჟორი „მიზიდვა მკერდისაკენ" მიწოდება-მონტაჟი (შესაბამისი მასალებისა და სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით) ესკიზის შესაბამისად | რუსეთი/ЗАО "Завод игрового спортивного оборудования", ROMANA ტრენაჟორი „მიზიდვა მკერდისაკენ", SO-3.1.64.00 ) | გაბარიტული ზომები: სიგრძე მმ. 1060 სიგანე, მმ. 780 სიმაღლე, მმ. 1165 მომხმარებლის მაქსიმალური წონა, კგ. 150 | 7 | 1200 | 8400 |
| 5 | ტრენაჟორი „აზიდვა ფეხებით" მიწოდება-მონტაჟი (შესაბამისი მასალებისა და სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით) ესკიზის შესაბამისად | რუსეთი/ЗАО "Завод игрового спортивного оборудования", ROMANA ტრენაჟორი „აზიდვა ფეხებით", SO-3.1.65.00 ) | გაბარიტული ზომები: სიგრძე მმ. 1310 სიგანე, მმ. 540 სიმაღლე, მმ. 1265 მომხმარებლის მაქსიმალური წონა, კგ. 150 | 7 | 1200 | 8400 |
| 6 | ტრენაჟორი „წელის კორექციისთვის" მიწოდება-მონტაჟი (შესაბამისი მასალებისა და სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით) ესკიზის შესაბამისად | რუსეთი/ЗАО "Завод игрового спортивного оборудования", ROMANA ტრენაჟორი „ქანქარა - წელის კორექციისთვის", SO-3.1.66.00 ) | გაბარიტული ზომები: სიგრძე მმ. 740 სიგანე, მმ. 760 სიმაღლე, მმ. 1200 მომხმარებლის მაქსიმალური წონა, კგ. 150 | 7 | 800 | 5600 |
| 7 | ტრენაჟორი „ელიფტური" მიწოდება-მონტაჟი (შესაბამისი მასალებისა და სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით) ესკიზის შესაბამისად | რუსეთი/ЗАО "Завод игрового спортивного оборудования", ROMANA ტრენაჟორი „ელიფტური", SO-3.1.67.00 ) | გაბარიტული ზომები: სიგრძე მმ. 1485 სიგანე, მმ. 727 სიმაღლე, მმ. 1635 მომხმარებლის მაქსიმალური წონა, კგ. 150 | 7 | 1600 | 11200 |
| 8 | ტრენაჟორი „ორმხრივი ძელი" მიწოდება-მონტაჟი (შესაბამისი მასალებისა და სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით) ესკიზის შესაბამისად | რუსეთი/ЗАО "Завод игрового спортивного оборудования", ROMANA ტრენაჟორი „ორმხრივი ძელი", Romana 207.08.00 ) | გაბარიტული ზომები: სიგრძე მმ. 1400 სიგანე, მმ. 650 სიმაღლე, მმ. 1500 მომხმარებლის მაქსიმალური წონა, კგ. 150 | 7 | 800 | 5600 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ტრენაჟორი „ტვისტერი" მიწოდება-მონტაჟი (შესაბამისი მასალებისა და სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით) ესკიზის შესაბამისად | რუსეთი/ЗАО "Завод игрового спортивного оборудования", ROMANA ტრენაჟორი „ტვისტერი", SO-3.1.70.00 ) | გაბარიტული ზომები: სიგრძე მმ. 760 სიგანე, მმ. 635 სიმაღლე, მმ. 1200 მომხმარებლის მაქსიმალური წონა, კგ. 150 | 7 | 800 | 5600 |
| 10 | ტრენაჟორი „მუცლისა და ზურგის კუნთებისათვის" მიწოდება-მონტაჟი (შესაბამისი მასალებისა და სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით) ესკიზის შესაბამისად | რუსეთი/ЗАО "Завод игрового спортивного оборудования", ROMANA ტრენაჟორი „მუცლის კუნთებისათვის", Romana 207.02.00) | გაბარიტული ზომები: სიგრძე მმ. 982 სიგანე, მმ. 443 სიმაღლე, მმ. 549 მომხმარებლის მაქსიმალური წონა, კგ. 150 | 7 | 400 | 2800 |
| 11 | ტრენაჟორებისთვის კაუჩუკის რბილსაფარიანი მოედნის მოწყობისა და საჩრდილობელი ფანჩატურის მოწყობის სამუშაოების ღირებულება (ცხრილი №2-ში მოცემული საერთო ღირებულების შესაბამისად) | | | 7 | 7733.14 | 54131.98 |
| | სულ ჯამი | | | | | 127631.98 |

**შესყიდვის ობიექტის გარანტია - მიღება-ჩაბარების გაფორმების დღიდან არანაკლებ 1 (ერთი) წელი (გარდა ვანდალიზმის შემთხვევებისა)**

**მწარმოებელი კომპანიის ვებგვერდი: www.romanakids.com**

შ.პ.ს"გეო-გრინი"-ს დირექტორი: ლელა გუდაშვილი

შ.პ.ს. გეო-გრინი LTD GEO-GREEN G.G 205018595

ტრენაჟორებისათვის კაუჩუკის რბილსაფარიანი მოედნის მოწყობისა და საჩრდილობელი ფანჩატურის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა
1 (ერთი) ფანჩატურისა და 1 (ერთი) მოედნისთვის

(ცხრილი #2

| № | სამუშაოს დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | მიწის მოჭრა და მოსწორება | კვ.მ | 42 | | | 0.50 | 21.00 | | | 21.00 |
| 2 | ბეტონის ბორდიური (10X20) მოწყობა ბეტონის საფუძველზე | გრძ.მ | 26 | | | 3.50 | 91.00 | | | 91.00 |
| | ბეტონის ბორდიური დაწნეხილი (10X20) | გრძ.მ | 26 | 6.00 | 156.00 | | 0.00 | 1.60 | 41.60 | 197.60 |
| | ბეტონის მ-200 საფუძველი (0,01 მ3/გრძ.მ-ზე) | კუბ.მ | 0.26 | 105.00 | 27.30 | | 0.00 | 15.00 | 3.90 | 31.20 |
| 3 | ტერიტორიაზე ღორღის მოსამზადებელი ფენის მოწყობა საშ.სისქით 8სმ | კუბ.მ | 3.36 | | 0.00 | 15.00 | 50.40 | | 0.00 | 50.40 |
| | ღორღი ფრაქციით 0-40მმ, საშ. 6 სმ დატკეპნით | კუბ.მ | 3.36 | 20.00 | 67.20 | 14.00 | 47.04 | 10.00 | 33.60 | 147.84 |
| 4 | ბეტონის მ-200 მოჭიმვის მოწყობა საშ. სისქით 6სმ არმატურა ფ6 ა-III ბიჯით 25*25 მმ მთლიან ფართზე | კუბ.მ | 2.52 | | 0.00 | 120.00 | 302.40 | | 0.00 | 302.40 |
| | არმატურა ფ-6 ა-III | ტნ | 0.077 | 1750.00 | 134.75 | | 0.00 | | 0.00 | 134.75 |
| | ბეტონი მ-200 | კუბ.მ | 2.52 | 105.00 | 264.60 | | 0.00 | 15.00 | 37.80 | 302.40 |
| 5 | ბილიკების მოწყობა ბეტონის ფილებით | კვ.მ | 6 | | 0.00 | 10.00 | 60.00 | | 0.00 | 60.00 |
| | ღორღი ფრაქციით 0-40მმ, საშ. 6 სმ დატკეპნით | კუბ.მ | 0.36 | 20.00 | 7.20 | 15.00 | 5.40 | 11.00 | 3.96 | 16.56 |
| | ბეტონი მ-200 საშ-6 სმ | კუბ.მ | 0.36 | 105.00 | 37.80 | | 0.00 | 15.00 | 5.40 | 43.20 |
| | ბეტონის ფილა სისქით 3 სმ | კვ.მ | 6 | 15.00 | 90.00 | | 0.00 | 2.00 | 12.00 | 102.00 |
| | ყინვაგამძლე წებოცემენტი | კგ | 36 | 0.50 | 18.00 | | 0.00 | | 0.00 | 18.00 |
| 6 | კაუჩუკის საფარის მოწყობა სისქით 3სმ ბეტონის საფარზე | კვ.მ | 42 | | 0.00 | 3.80 | 159.60 | | 0.00 | 159.60 |
| | კაუჩუკის კ=1.02 | კვ.მ | 42.84 | 38.00 | 1627.92 | | 0.00 | 1.00 | 42.84 | 1670.76 |
| | ორკომპონენტიანი წებო | კგ | 42 | 5.00 | 210.00 | | 0.00 | | 0.00 | 210.00 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | საჩრდილობელი ფანჩატური ტრენაჟორებისათვის მიწოდება-მონტაჟი (შესაბამისი მასალებისა და სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით) ესკიზის და ნახაზის შესაბამისად | ცალი | 1 | 1935.00 | 1935.00 | 220.00 | 220.00 | 45.00 | 45.00 | 2200.00 |
| 8 | სამშენებლო ნარჩენების მოგროვება და გატანა | ტნ | 0.2 | | 0.00 | 52.00 | 10.40 | 50.00 | 10.00 | 20.40 |
| | ჯამი | | | | | | | | | 5779.11 |
| | ზედნადები ხარჯი | 8% | | | | | | | | 462.33 |
| | ჯამი | | | | | | | | | 6241.44 |
| | გეგმიური დაგროვება | 5% | | | | | | | | 312.07 |
| | ჯამი | | | | | | | | | 6553.51 |
| | დღგ | 18% | | | | | | | | 1179.63 |
| | ჯამი | | | | | | | | | 7733.14 |

შ.პ.ს"გეო-გრინი"-ს დირექტორი: ლელა გუდაშვილი

შ.პ.ს. გეო-გრინი * L.T.D. GEO-GREEN * 205018595 G.C